შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/156
27/04/2022

156-04-2-202204271316

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის N2-278 ბრძანების შესაბამისად გაიცა „თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასროლეთი „კოხის“ ტერიტორიაზე, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

რიგი მიზეზების, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის საფუძველზე, ზემოხსენებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობა ვერ განხორციელდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტის ადგილმონაცვლეობის შესახებ. კომპანიამ მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ნაგავსაყრელის მშენებლობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, 2020 წლის 08 დეკემბრის N172-04 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა აღნიშნული ნაგავსაყრელისათვის 2018 წლის 19 ივლისის N114-04 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის N2-278 ბრძანების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი

საქართველო, 0186, ა.პოლიტკოვსკაიას 14, ტელ: (+995 32) 438 830; mail: info@waste.gov.ge

14 A.politkovskaya str, 0186, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 438 830; ს/კ: 404942470